დღეს კომუნისტური შაბათობაა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

15 აპრილი შაბათი 1972 ფასი 2 კაპ.

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 89 (15302)

... პირდაპირ უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს მუშების მიერ მათივე საკუთარი თაოსნობით მოწყობილ კომუნისტურ შაბათობებს. ჩანს, ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისია, მაგრამ ეს არის არაჩვეულებრივ დიდი მნიშვნელობის დასაწყისი.

ვ. ი. ლენინი.

ნ. კილაძის პლაკატი.

შრომის სახალხო ზეიმი

კომუნისტური შაბათობები უკვე ტრადიციად იქცა. წლევანდელი შაბათობა განსაკუთრებული. იგი ეწყობა ვ. ი. ლენინის დაბადების 102-ე წლისთავის წინ, იმ პერიოდში, როცა ფართოდ გაიშალა მზადება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის შესახვედრად, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა ენერგიის დაუზოგავად იბრძვის მეცხრე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ამ დღეებში სამრეწველო საწარმოებიდან, კოლმეურნეობებიდან და სახელოთა მეურნეობებიდან. სამეცნიერო დაწესებულებებიდან რედაქციაში მოდის ცნობები შაბათობის მონაწილეთა გაზრდილი ვალდებულების შესახებ. ისინი იწერებიან, რომ შაბათს, თუმცა იგი დასვენების დღეა, თავიანთ სამუშაო ადგილებზე მივლენ და იშრომებენ დამკვრელურად. გამოუშვებენ გაცილებით მეტ პროდუქციას, ვიდრე სამუშაო დღეებში აკეთებენ.

ბევრი ფაბრიკა-ქარხანის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს შაბათობის დღეს იმუშაოს დაზოგილი მასალებით, სათბობითა და ელექტროენერგიით.

ფაბრიკების, ქარხნების, სამშენებლო ტრესტების, სატრანსპორტო საწარმოების მმართველობის აპარატის მუშაკები, დაწესებულებების თანამშრომლები, სტუდენტობა და მასწავლებლები შაბათობის დღეს დასუფთავებენ საწარმოთა ტერიტორიებსა და ეზოებს, დარგავენ ათასობით ხესა და ბუჩქს.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები. სახალხო მეურნეობის ყველა უბნის მშრომელები შაბათობას აღნიშნავენ დამკვრელური შრომით და თავიანთს ღირსეულ წვლილს შეიტანენ ხუთწლედის ფონდში.

დღეს ვბეჭდავთ შაბათობის მომწყობი შტაბების უფროსების საუბრებს, თბილისიდან. სოხუმიდან, ცხინვალიდან. ქუთაისიდან, რუსთავიდან, რომლებშიც კონკრეტულად არის მოცემული, თუ რა გაკეთდება შაბათობის დღეს საქართველოს ქალაქებში, საწარმოებში.

თბილისი

დღეს კომუნისტურ შაბათობაზე მასობრივად გამოვლენ დედაქალაქის მშრომელები. ლენინის რაიონიდან მასში მონაწილეობას მიიღებს 249 საწარმოსა და დაწესებულების კოლექტივების 69 ათასი წევრი; პირველი მაისის რაიონის მშრომელთა 60 ათასიანი არმია 500 ათას მანეთის პროდუქციას გამოუშვებს და 45 ათას მანეთს გადარიცხავს ხუთწლედის ფონდში; წინასწარი გაანგარიშებით კიროვის რაიონის 20 ათასი მშრომელი გამოვა შაბათობაზე, აქედან 10 ათასი კაცი ძირითად სამუშაოს შესასრულებს და შექმნის 500 ათასი მანეთის პროდუქციას. ხუთწლედის ფონდში გადარიცხავენ 75 ათასი მანეთი; დღეს სამშობლო მიიღებს 145 ათასი მანეთის პროდუქციას, — ასეთი ვალდებულება იკისრეს ოქტომბრის რაიონის მშრომელებმა; ერთი მილიონი ღირებულების პროდუქციას შექმნიან 26 კომისრის რაიონის ენთუზიასტები და ხუთწლედის ფონდში გადარიცხავენ 85 ათას მანეთს; შაბათობაზე დამკვრელურად იბრძოლებენ ავრეთვე ძალინინისა და ორჯონიკიძის რაიონების მშრომელები: ქალაქის კომკავშირელთა 500-კაციანი ბრიგადა დახმარებას გაუწევს მეტროშენებლებს.

დიდი სამუშაოები შესრულდება ქალაქის კეთილმოწყობისა და გაზონებისათვის. დასუფთავდება ფესვრიგში მოვა ასობით სკვერი, ბაღები. დაირგვება 45 ათასი სამოც ძირი ხე და ბუჩქი.

თბილისის მშრომელები ხუთწლედის ფონდში 400 ათას მანეთს შეიტანენ.

ქუთაისი

გვესაუბრება საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი, შაბათობის მომწყობი შტაბის უფროსი

ს. სიხარულიძე

დღეს შაბათობაზე, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 102-ე წლისთავისა და სსრ კავშირის შექმნის 50-ე წლისთავს ეძღვნება, სამუშაოდ გამოვა ქალაქის 50 ათასი მშრომელი. მათს შორის 32 ათასი კაცი იშრომებს უშუალოდ საწარმოებში, მშენებლობაზე და ტრანსპორტზე. დანარჩენი ქალაქის კეთილმოწყობის, გამწვანების სამუშაოებს შეასრულებს.

მრეწველობის მუშაკები გამოუშვებენ 1 მილიონ 200 ათასი მანეთის პროდუქციას, მშენებლები შეასრულებენ 25 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს, ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება 75 ათასი მანეთი. ქალაქის ეზოებსა და გარეუბნებში დაირგვება 100 ათასი ძირი ხე და ბუჩქი.

გაზრდილი ვალდებულებები იკისრეს ქალაქის ცალკეულმა საწარმოებმა. ხ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივი დღეს გამოუშვებს 176 ათასი მანეთის პროდუქციას, ავტოსაწყვრეს, 12 ნახევრადმისაბმელს, 30 ათასი მანეთის სათადარიგო ნაწილებს; ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივი დაამზადებს 15 ათასი მანეთის პროდუქციას, 2 წყალტუმბოს, 2 არტეზიულ ტუმბოს, ერთ ნასაძირ ელექტროძრავს, 200 ცალ საშახტე ელექტროლამპარს და სხვ. შაბათობაზე დიდძალ სარეწველო პროდუქციას გამოუშვებენ აგრეთვე ლითოფონის, მინისტარის, რეზინის ტექნიკური ნაწარმის ქარხნების, ამბრემუმის, ტყავფეხსაცმლის კომბინატების, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა კოლექტივები.

ქუთაისის მშრომელები მზად არიან ღირსეული მაჩვენებლებით აღნიშნონ შრომის დღესასწაული.

სოხუმი

გვესაუბრება სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, შაბათობის მომწყობი შტაბის უფროსი

ჯ. კვინიკაძე

მოსკოველთა პატრიოტულ ინიციატივას კომუნისტური შაბათობის მოწყობის შესახებ მხურვალედ გამოეხმაურნენ სოხუმის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები. აღგილებზე შეიქმნა სპეციალური შტაბები, რომლებმაც შეიმუშავეს შაბათობის მოწყობის კონკრეტული გეგმები. წინასწარი გაანგარიშებით შაბათობაში მონაწილეობას მიიღებს 60 ათასი კაცი. აქედან უშუალოდ წარმოებაში — 10 ათასი კაცი, გამოშვებულ იქნება დიდძალი პროდუქცია

ცხინვალი

გვესაუბრება საქართველოს კპ ცხინვალის საქალაქო კომიტეტის მდივანი, შაბათობის მომწყობი შტაბის უფროსი

რ. ნიკურაძე

სამხრეთ ოსეთის დედაქალაქის სამრეწველო საწარმოების — ეგორმაშენის, ავტოშემკეთებელი ქარხნების კოლექტივები პირველი ჩაებნენ შაბათობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ შეჯიბრებაში. საქალაქო შტაბმა აღგილებზე დიდი მუშაობა გასწია, რომ შაბათობას მასობრივი ხასიათი მიეცეს. დღეს წინასწარი გაანგარიშებით შაბათობაზე გამოვა ქალაქის 13 ათასი მშრომელი, 3.300 კაცი საწარმოებში იშრომებს, 750 კაცი — მშენებლობაზე, დანარჩენი კეთილმოწყობის სამუშაოზე.

სამრეწველო საწარმოები გამოუშვებენ 100 ათასი მანეთის პროდუქციას, მშენებლები შეასრულებენ 18 ათასი მანეთის სამუშაოს; ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება 13 ათასი მანეთი, დაირგვება 50 ათასი ხე და ბუჩქი.

ქალაქის ტრანსპორტი დაზოგილი მასალებით იმუშავებს.

ბათუმი

გვესაუბრება საქართველოს კპ ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივანი, შაბათობის მომწყობი შტაბის უფროსი

ლ. ნესოლიერნოვა

ქალაქის რამდენიმე წამყვანი საწარმო სადღეღამისო გრაფიკით მუშაობს, ამიტომ, ცხადია, მათი კოლექტივები დღეკანდელ დღეს სამუშაო ადგილებზე გაატარებენ. მაგრამ მათთან ერთად შრომის ზეიმში მონაწილეობას მიიღებს 40 ათასზე მეტი მშრომელი, აქედან უშუალოდ წარმოებაში — 12 ათასი კაცი. გამოშვებული იქნება 400 ათასი მანეთის პროდუქცია, ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება 50 ათასი მანეთი.

ბათუმელები დღეს თავდადებით იშრომებენ ქალაქის კეთილმოწყობისათვის, დაირგვება ფოთლოვანი და მარადმწვანე მცენარეები, მოეწყობა და გალამაზდება პარკები, სკვერები.

შაბათობას სრულ მზადყოფნაში ხვდებიან მანქანათმაშენებლები, ელექტრომექანიკური, გემთმაშენებლო ქარხნების, სამკერვალო გაერთიანების, ფეხსაცმლის, თამბაქოს ფაბრიკების კოლექტივები.

რუსთავი

გვესაუბრება საქართველოს კპ რუსთავის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი, შაბათობის მომწყობი შტაბის უფროსი

ვ. ულენი

კომუნისტური შაბათობისათვის მზადებამ წარმატებით ჩაიარა. ყველა საწარმოში, საამქროში, უბნებში მიმდინარეობს სპეციალური ღონისძიებათა ჩატარების გეგმები, რომლის მიხედვით დღეს მეტალურგთა და ქიმიკოსთა ქალაქში 20 ათასი კაცი მიიღებს მონაწილეობას ამ საყოველთაო შრომის ზეიმში.

გამოშვებული იქნება 800 ათასი მანეთის პროდუქცია. მათ შორის ათობით ტონა თუჯი, ფოლადი, ნაკლონი, მილები, მინერალური სასუქები, კაპროლაქტამი, ქიმიური ბოჭკო, ცელენტი.

კომუნისტურ შაბათობაზე გამომუშავებული 20 ათასი მანეთი გადარიცხება ხუთწლედის ფონდში. ქალაქის დასახლებათა და წარმობათა ეზოებში დაირგვება 10 ათას ძირზე მეტი ხე და ბუჩქი.

საინტერესო ღონისძიებებს განახორციელებს ქალაქის წამყვანი საწარმოს — მეტალურგიული ქარხნის კოლექტივი. მეტალურგები გაარემონტებენ ადგილობრივი პარკის 5 ვაგონს, 2 ორთქლმავალს და 2 კილომეტრ რკინიგზას, გადმოცლიან 15 სარკინიგზო ვაგონს, რომლებიც დატვირთული იქნება ციცხლგაბმული მასალებით, შეაკეთებენ 1000 ტონა ჯართს. მასობრივად გამოვლენ კომუნისტურ შაბათობაზე აგრეთვე ქიმიკოსები, მშენებლები, ამწემშენებლები, მეცენტენტეები, და ქალაქის სხვა წარმოება-დაწესებულებათა წარმომადგენლები.

ჭიათურა

გვესაუბრება საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი, შაბათობის მომწყობი შტაბის უფროსი

ო. გოგატიშვილი

მარგანეცის ქალაქის მშრომელები ორგანიზებულად მოემზადნენ და ერთსულოვნად გამოვლენ შაბათობაზე, მაღაროებსა და დამხმარე საწარმოებში ამუშავებს 5.490 მეშა-მოსამსახურე. აქედან ძირითადი სამუშაოს შეასრულებს 4.225 მაღაროელი, რომლებიც ამოიღებენ 3.994 ტონა სასანქონლო მარგანეცს, გამომუშავებული თანხა 19.548 მანეთი გადაირიცხება ხუთწლედის ფონდში, შაბათობაზე უკლებლივ გამოვლენ აგრეთვე მშენებლები და რკინიგზელები.

ქალაქის საწარმოები ამ დღეს გამოუშვებენ 150 ათასი მანეთის პროდუქციას და ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება 35 ათასი მანეთი. საწარმოთა უმრავლესობა დაზოგილი მასალებითა და ელექტროენერგიით იმუშავებს.

ბევრი რამ გაკეთდება სოფლადაც. კოლმეურნეები შეაკეთებენ 7,5 კილომეტრ სასოფლო გზებსა, დარგავენ 48 ათას ძირ მცენარეს.



ნ. ვ. პოდგორნი თურქეთში

ანკარა, 13 აპრილი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. ვ. პოდგორნი** თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ **ჯ. ხუნისთან** ოფიციალური მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ ანკარიდან იზმირის გეემგზავრა. აეროდრომზე ნ. ვ. პოდგორნი და სხვა საბჭოთა სტუმრები გაეცალენ ჯ. ხუნსთან და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

იზმირი, 13 აპრილი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. ვ. პოდგორნი** და მისი თანმხლები პირნი იზმირში ჩამოვიდნენ. აეროდრომზე საბჭოთა სტუმრებს დახვდნენ იზმირის ვალიეთის გუბერნატორი **ნამიქ ქემალ შენთურქი,** სხვა ოფიციალური პირნი.

იზმირი, 14 აპრილი. (საკდესი). იზმირის ვალიეთის გუბერნატორმა **ნამიქ ქემალ შენთურქმა** გუბერნატორის ოფისში საღამოს სასტუმრო „ბიუიუკ უფესში“ საღილი გამართა საბჭოთა სტუმრების პატივსაცემად.

საღილზე საბჭოთა კავშირის მხრივ ყველენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. ვ. პოდგორნი** და მისი თანმხლები პირნი.

თურქეთის მხრივ საღილზე იყვნენ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **ჰ. ბაიულქენი,** იზმირის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე, სხვა ოფიციალური პირნი.

ნ. შენთურქმა და **ნ. ვ. პოდგორნმა,** წარმოთქვეს სადღეგრძელოები.

გულთბილად **რომ** მიესალმა ნ. ვ. პოდგორნის, გუბერნატორი, კერძოდ, მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირის ეუთმეტ მთავარ წ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲣᲯᲠᲔᲓᲘ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ—ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲖᲔ

ᲭᲘᲠᲐᲥᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲣᲛᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠ

14
აპრილი
საკვირო

საერთაშორისო დღის წესრიგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის მშვიდობის განმტკიცებისათვის

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულების განხილვამ, სხდომაზე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს გამოსვლამ, რომელმაც გააშუქა საბჭოთა მთავრობის პოზიცია ამ საკითხში, მიიპყრო ევროპისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის ფართო ყურადღება, რომელსაც მიაჩნია, რომ ეს ახალი დიდმნიშვნელოვანი დადასტურებაა საბჭოთა კავშირის მისწრაფებისა — უწრუნველყოს ევროპის მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების პირობები.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მასთბრივი ინფორმაციის საშუალებებმა გადასცეს მოსკოვიდან მიღებული დაწვრილებითი ცნობები, რომლებიც სხდომის მუშაობას ეხება. ბონის პოლიტიკური მეთვალყურენი აღნიშნავენ, რომ მოსკოვისა და ვარშავის ხელშეკრულებათა რატიფიკაცია იქნება დიდი წვლილი ევროპის ვითარების ნორმალიზაციაში და ხელს შეუწყობს დასავლეთ ბერლინის შესახებ ოთხმხრივი შეთანხმების, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობასთან და დასავლეთ ბერლინის სენატთან დადებულ შეთანხმებათა ძალაში შესვლას. როგორც გაზეთი „ვესტფელიშე რუნდშაუ“ ხაზს უსვამს, უკვე თვით მოსკოვის ხელშეკრულების დადება „ისტორიული მოვლენა“ იყო.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა გაზეთი ვრცელ კომენტარს უძღვნის სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს გამოსვლას. სათაურით „სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულება — ევროპის მშვიდობისა და უშიშროების იმასურეა“ „ნოიეს დეიჩლანდი“ წერს, რომ სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულება ევროპაში ამჟამად შეესაბამება როგორც ალმოსავლეთის, ისე დასავლეთის ინტერესებს. ქრისტიან-დემოკრატთა ცდებს— ნაფუშონ სსრ კავშირ-გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულების რატიფიკაცია, „ტაიმსის“ თქმით, იმას მოწმობს, რომ „ისინი გამოდიან დაძაბულობის შენელების პოლიტიკის წინააღმდეგ“. (საკვანძო).

ბონი — ოპოზიცია ჭიუტობს

გაიმართა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის ბრანდტის შეხვედრა ოპოზიციის ლიდერთან, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარესთან ბარცელთან.

საუბარში მთავრობის მხრივ მონაწილეობდა საგარეო საქმეთა მინისტრი შელი, ოპოზიციის მხრივ — ბუნდესტაგის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ფრედერი. და ბუნდესტაგში ქრისტიანულ-სოციალური კავშირის მხარეთა ჯგუფის თავმჯდომარე შტუკლენი. საუბრის მთავარი თემა იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებათა რატიფიკაციის საკითხი.

როგორც მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ვეხმარმა განაცხადა, ბრანდტმა და შელმა ურჩიეს ოპოზიციის გადასინჯოს თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ხელშეკრულებისადმი. მით აღნიშნეს ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც ეკისრებათ რატიფიკაციის პროცედურაში მონაწილე ყველა პარტიასა და პარლამენტარს. უწინარეს ყოველისა ეს ეხება ევროპის დაძაბულობის შენელების შემდგომ პროცესს, დასავლეთ ბერლინის მდგომარეობის და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობას.

ბრანდტთან შეხვედრის შემდეგ ბარცელმა განაცხადა, რომ ვერ მიაღწიეს თვალსაზრისთა ვერავითარ დაახლოებას. მისი თქმით, ოპოზიციისათვის ხელშეკრულებები უწინდებურად მიუღებელია.

მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა სტატს-მდივანმა ალერსმა დაგმო ბარცელის ეს განცხადება, ბარცელის ნათქვამმა, ხაზგასმით აღნიშნა მან, კვლავ ცხადყო, რომ ოპოზიცია ჯიუტად არ თმობს თავის პოზიციას.

ოტავა — უთანხმოების ატმოსფეროში

დღეს აქ ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა შეერთებული შტატების პრეზიდენტი რ. ნიქსონი. იგი ორ დღეს მოლაპარაკებას აწარმოებს კანადის პრემიერ-მინისტრ პ. ე. ტრიუდოსთან.

როგორც აქ თუწყობიან, მოლაპარაკებაზე განიხილავენ როგორც საერთაშორისო პრობლემებს, ისე ორმხრივი ურთიერთობის საკითხებს. პრეზიდენტს თანმხლები პირნი — სახელმწიფო მდივანი უ. როჯერსი და სპეციალური თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში ჰ. კისინჯერი შეხვდებიან კანადის ოფიციალურ პირებს.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ვიზიტი კანადაში წამდინარეობს ბევრ საკითხში ამერიკა-კანადის გაძლიერებული უთანხმოების ვითარებაში.

ამ ბოლო წლებში, წერს გაზეთი „ოტავა ჯორნელი“, „კანადა-ამერიკის ურთიერთობა სულ უფრო როულდებოდა. განსაკუთრებით საგრანობი გახდა უთანხმოება მას შემდეგ, რაც შარშან შეერთებულმა შტატებმა განახორციელა თავისი საგადასახდელო ბალანსის სტაბილიზაციისა და დოლარის დაცვის ღონისძიებანი, რომლებმაც საგრანობი ლახვარი ჩასცეს კანადის ეკონომიკას.

„უკვე არსებულ თუ პოტენციურ უთანხმოებათა სფერო, — ხაზს უსვამს „ოტავა ჯორნელი“, — მოიცავს კანადის არქტიკის სუვერენიტეტს, კანადის მონაწილეობას ნატოში, ნავთობის საბადოების ექსპლოატაციას ჩრდილოეთში და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვიეტნამისა და უცხოეთის კაპიტალდაბანდების საკითხებს“. გაზეთის აზრით, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ლიდერები არასოდეს არ შეხვედრიან ერთმანეთს ესოდენ რთულ პირობებში.

გაზეთი „ოტავა სიტიზენი“ წერს, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის „ეკონომიური ინტერესები ალარ ემთხვევა, სულ უფრო ხშირად ეწინააღმდეგება ერთმანეთს, და ეს არის ამჟამინდელი უთანხმოების ძირითადი მიზეზი“. ამიტომ, გაზეთის აზრით, ნიქსონის ვიზიტი ოტავაში ვერ გაამთელებს ბზარებს ამერიკა-კანადის ურთიერთობაში.

კანადა, აღნიშნავს თავის მხრივ ასოშიეიტედ პრესის სააგენტო, სულ უფრო გადაჭრით გამოთქვამს უკმაყოფილებას ამერიკული კაპიტალის მოძალების გამო, რადგან ქვეყნის მრეწველობისა და ბუნებრივი რესურსების მეტ ნაწილს კონტროლს უწევენ ამერიკელები. თავის მხრივ, აღნიშნავს ასოშიეიტედ პრესის სააგენტო, ვაშინგტონი არ მალავს გაღიზიანებას ნატოში კანადის როლის შემცირებისა და ამ ქვეყნის მთავრობის ზოგიერთი სხვა საგარეო-პოლიტიკური მოქმედების გამო.

ინდოჩინეთის ფრონტებზე

პატრიოტები უტევენ მტერს

ნიუ-იორკი. ამერიკის მხედრიონი კვლავ აფართოებს სამხედრო ომს სამხრეთ ვიეტნამში. ახორციელებს მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი ჟლეტის პოლიტიკას.

როგორც საიგონიდან მოსული ცნობები მოწმობენ, გუშინ 600 ამერიკული თვითმფრინავისაგან შემდგარმა არმადამ რამდენჯერმე დაბომბა სამხრეთ ვიეტნამის ტერიტორია. სულ უფრო აქტიურად მოქმედებდნენ „ბ-52“ მძიმე ბომბდამშენები. მარტო ქალაქ კონტუმის რაიონს „მფრინავი სიძაგრეები“ თერთმეტჯერ დაესხნენ თავს.

ამერიკის ავიაცია კვლავინდებურად არღვევს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცეს. ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავები გუშინ რამდენჯერმე დაესხნენ თავს მჭიდროდ დასახლებულ რაიონებს დემილიტარიზებული ზონის ჩრდილოეთით. ამავე დროს ამერიკის მეშვიდე ფლოტის ხომალდები ცეცხლს უშენდნენ ჩრდილოეთ ვიეტნამის სანაპიროებს. სანაპირო არტილერიამ აგრესორს ძლიერი ცეცხლით უპასუხა. სერიოზულად დაზიანდა კიდევ ერთი ამერიკული ხომალდი.

ჰანოი. არ სუსტდება პატრიოტული ძალების დარტყმები, რომლებსაც ამერიკა-საიგონის ჯარებს აუენებენ. განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების შებრძოლები კვლავ უტევენ მოწინააღმდეგეს სამხრეთ ვიეტნამის სხვადასხვა რაიონში.

განვლილ დღე-ღამეში ბრძოლები წარმოებდა ქალაქ ჰიუეს რაიონში. პატრიოტებმა რაკეტები და ნაღმები დაუშინეს ბასტონის ბაზას. აქ კრიზისული მდგომარეობა შეექმნათ მოწინააღმდეგის მარინენტულ ჯარებს.

ამერიკა-საიგონის სარდლობა შეშფოთებულია № 13 გზაზე შექმნილი მდგომარეობით. ანლოკში ალყაშემორტყმულ მარინენტთა დასახმარებლად გაგზავნეს პარაშუტისტთა დამატებითი ქვეგანაყოფები. ამ ნაწილებმა ს�დეს ვაიერვიათ ალყა ქალაქის საბრძოლო მოქმედებებში, პატრიოტებმა შეავიწროვეს მოწინააღმდეგე, რომელიც იძულებული გახდა ქალაქში შებრუნებულიყო.

ამასთანავე განთავისუფლების ძალებმა მძლავრი საარტილერიო ცეცხლით შეაჩერეს სამხრეთიდან ანლოკისაკენ მიმავალი მარინენტული ჯარების ნაწილები, რომლებშიც 15 ათასი კაცი იყო. განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების შებრძოლები ინარჩუნებენ ინიციატივას ამ რაიონში.



ამერიკელი აგრესორები თავიანთ დანაშაულებრივ ომში ინდოჩინეთის ქვეყნების ტერიტორიას იყენებენ როგორც პოლიგონს, სადაც ცდიან მასობრივი მოსპობის უახლეს საშუალებებს. ერთ-ერთი ასეთი იარაღია ასხუთმილიმეტრიანი საარტილერიო ყუმბარა (სურათზე მარცხნივ). თვითეული ყუმბარა შეიცავს 9.700 ფოლადის ისარს. აფეთქების დროს ისრები იფანტება სხვადასხვა მიმართულებით და ზიანს აყენებენ ყველაფერს, რაც კი გზაზე ხვდება.

ადამიანის სხეულში მოხვედრისას ისრები იწვევენ წყლულს, მოუშუშებელ ჭრილობას, განსაკუთრებით ზიანდებიან ბავშვები. სურათის ზემო ნაწილში ჩანს ყუმბარა და მასში 9.700 ფოლადის ისარი. სურათის ქვემო ნაწილში გამოახახულია გადიდებული ისარი.

მაგრამ აგრესორების დანაშაულობანი დაუსჯელი როდი რჩება. ინდოჩინეთის პატრიოტები ხასტიკ დარტყმებს აყენებენ მტერს. სამხრეთ ვიეტნამის სახალხო შეიარაღებული ძალების შებრძოლები დაზვერვაში (ქვემო სურათზე).

გაზეთი „კანადიენ ტრიბუნის“ და ვია.-საკდესის ფოტოები.

ავჯეჯი

● **სსრ კავშირის** მუდმივმა წარმომადგენლობამ გაეერთიანებული ერების ორგანიზაციაში პრეს-რელიზად გაავრცელა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის სტატიის ტექსტი, რომელიც მან წარმოთქვა თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჯ. სუნაის მიერ მის პატივსაცემად გამართულ სადილზე.

● **ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის** პრემიერ-მინისტრმა შეიხმა მუჯიბურ რაჰმანმა გააფართოვა მთავრობის შემადგენლობა — შემოიღო მინისტრის რვა ახალი პოსტი. მან დაიტოვა თავდაცვის მინისტრისა და კაბინეტის სექმეთა მინისტრის პოსტები. შინაგან საქმეთა მინისტრის პორტფელი, რომელიც წინათ მუჯიბურ რაჰმანს ეკუთვნოდა, გადაეცა მაზანურ რაჰმანს.

● **ბუნდესტაგის საგარეო საქმეთა** კომისია განაგრძობს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის დადებული ხელშეკრულების განხილვას.

● **აგრარული რეფორმის** კორპორაციის გადაწყვეტილებით ჩილეში ექსპროპრირებულია კიდევ 130 მსხვილი ლატიფუნდია. ამრიგად, სახალხო ერთიანობის მთავრობის სექმიანობის პერიოდში ექსპროპრირებულია სულ 2.500 ლატიფუნდია.

● **სამხრეთ აფრიკის** ხელისუფლებამ მასობრივი ოკუპრესიები გამოიყენეს ოვამბოს ტომის აფრიკელ მუშათა წინააღმდეგ, რომელთა გაფიცვამ შეარყია ნამიბიის ეკონომიკა. საგანგებო ღონისძიებათა მიღების შემდეგ პირველი რამდენიმე კვირის მანძილზე ნამიბიაში დააპატიმრეს 213 კაცი.

● **უფიდი ათას კილომეტრზე** აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ინდოეთის ოკეანის ნაპირებიდან გვინეის ყურემდე გაიჭიმება ტრანსფორიკული გზატკეცილი, რომელიც კენიის მომბასას ნავსადგურს დაეკავშირებს ნიგერიის დედაქალაქ ლაგოსთან. ამ მაგისტრალის შშენებლობის საკოორდინაციო კომიტეტმა დამტკიცა აფრიკის ექვსი ქვეყნის, — კენიის, უგანდის, ზაირის, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის, კამერუნისა და ნიგერიის ტერიტორიაზე გამავალი ტრასა.

ფაქტები

შეთანხმების შესაგამისად

13 აპრილს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს ეწვევნენ აშშ-ის აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს წარმომადგენლები. საბჭოთა მეცნიერებმა სტუმრებს გადასცეს მთვარის გრუნტის ნიმუშები, რომელიც დედამიწაზე ჩამოტანილ „ლუნა-20“ ავტომატურმა სადგურმა. ამასთან სტუმრებმა საბჭოთა მეცნიერებს გადასცეს მთვარის გრუნტის ნიმუში, რომელიც ამერიკული „აპოლონ-15“ ხომალდის ეკიპაჟმა ჩამოიტანა.

მთვარის გრუნტის ნიმუშები მხარეებმა ერთმანეთს გაუცვალეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს იმ შეთანხმების შესაბამისად, რომელსაც ხელი მოაწერეს 1971 წლის იანვარში. (საკვანძო).

ფაქტები

ომი ვიეტნამში

პორტუგალიის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს, რათა შეანელოს ფაშისტური რეჟიმისადმი წინააღმდეგობის ზრდა. პორტუგალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ქვეყნის ანტიფაშისტური ძალები ეწევიან მუდმივ მუშაობას მასებში, ამხილებენ ფაშისტურ რეჟიმს, კოლონიურ ომს, აწყობენ გაბედულ ოპერაციებს პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლებისათვის.

ვბეჭდავთ იტალიელი ჟურნალისტის მიკელე კანონიკას სტატიას რომის ყოველკვირეულ „ესპრესოდან“. ჟურნალისტი თვითონ მონაწილეობდა პოლიტიკური პატიმრების გაქცევის მოწყობაში.

გაქცევა საპყრობილიდან

პორტუგალიელი ანტიფაშისტები

პარასკევს, 11 თებერვალს, დღის 3 საათზე, როგორც დათქმული იყო, შევდივარ მადრიდის „წმიდა ანტონიოს სავანეში“ — სამლოცველოში, რომელიც მუჭეუმად გადააკეთეს მხოლოდ იმიტომ, რომ მისი კედლები მოხატულია გოიას შესანიშნავი ფრესკებით. ეს სულ რამდენიმე ნაბიჯია ესპანეთის მოედნიდან. ეკდები უზარმაზარი დიადემის წითელ ხავერდზე. კისერზე ფოტოაპარატი მაქვს ჩამოკიდებული, მარჯვენა ხელში შავი საფალი მიჭირავს, საფალეში ბერტრან რასელის პაციფისტური მოძრაობის ნიშანი: ამ ნიშნებით უნდა მივცნობ. თითქმის მაშინვე ქალიშვილი მიახლოვდება, რომელსაც ტყავის ქვედატანის კილოზე ოგივე ნიშანი აქვს. „თქვენც ბერტრან რასელის მომხრე ხართ?“ — მეკითხება ჩურჩულით. სწორედ ასე ეღერს დათქმული სიტყვა, რომელიც რომში პორტუგალიელმა ანტიფაშისტებმა მომცეს. ეუპასუხებ დათქმულითვე: „ეს ილუზიაა“.

ქალიშვილი იღიმება. შემდეგ მთლად ბუნებრივად, ამანდზე იწყებს ლაპარაკს ფრანგულად. შეუმჩნევლად გამოვდივარო პაწაწინა მუზეუმიდან. მივდივართ ფართო ქუჩაზე, უკან ვიხედები — ხომ არაფინ გვითვალთვალებს. ქალიშვილი ხელჩანთიდან იღებს ავტოკალმს და მაძლევს. ერთხანს კიდევ ერთად მივდივართ. შემდეგ ვემშვიდობები.

სასტუმროში კალამს ვშლი. იქ ეროს ადგილზე, მჭიდროდ დაგრაგნილი, წერილი ძაფით შემოხვეული ბარათია. ბარათში ულანასკნელი ინსტრუქციებია. სამქმე ის არის, რომ გეგმა შეიცვალა. თავიდან განხორციელი იყო, რომ თორმეტს, შუადამისას ციხიდან პორტში გაიქცეოდა ოთხი პოლიტიკური პატიმარი — ორი კომუნისტი, ერთი მემარცხენე კათოლიკე და ერთი რადიკალურ შეხედულებათა მასწავლებელი.

პორტუგალიელ კომუნისტებს რქაფიმის ოპოზიციონერთა შორის წამყვანი ადგილი უჭირავთ. 1961 წლამდე ისინი მარტონი იბრძოდნენ. მაგრამ უკვე 1962 წელს ლისაბონში საპარლამენტო დემონსტრაციისას მათ გვერდით მოდიოდნენ ზომიერი მეშარცხენეები და რადიკალებიც კი, რომლებიც „დაუყოვნებლივ რეფორმაციას“ მოითხოვდნენ. 1968 წელს კომუნისტური პარტია კიდევ უფრო გაძლიერდა.

ხუთ მედალეგეს — თვითეულს მილიონი ლირა გადაუხადეს — უნდა ეშოვნა სამოქალაქო ტანსაცმელი და, რაც მთავარია, მათ უნდა „დაეიწყებოდათ“ საკნის კარების ჩაკეტვა (ოთხივე პატიმარი ცალ-ცალკე საკნებში იყო). ციხის კარის მახლობლად გაქცეულებს ორი მანქანა დაელოდებოდა.

ოპერაციის რთული და სახიფათო ხასიათის გამო მე თითქოს მონაწილეობა არ უნდა მიმეღო მასში, მაგრამ მადრიდში აღმოვჩნდი სწორედ იმ პორტუგალიელ ემიგრანტთა თხოვნით, რომლებიც გაქცევას აწყობდნენ. მათ ჩემი დახმარების იმედი ჰქონდათ იმ შემთხვევაში, თუ გაუთვალისწინებელი სიტუაცია შეიქმნებოდა: საჭირო გახდებოდა, მაგალითად, ფული ან მანქანა. რამდენადაც მე უცხოელი ჟურნალისტი ვარ და არც ესპანეთის პოლიცია მიცნობს, არც პორტუგალიისა, შემეძლო სწრაფად მემოქმედა.

მაგრამ რატომ თქვენ წინანდელ გეგმაზე უარი? იგი ეყრდნობოდა მხოლოდ და მხოლოდ იმ 6 საათის ანგარიშს, რომელიც ერთმანეთისაგან აშორებს ღამის უკანასკნელ და დღის პირველ შემოვლას ციხეში. ეს დრო საკმარისია, რომ ავტომანქანით მიაღწიო ლისაბონს და მოასწრო თვითმფრინავში ჩაჯდომა, ვიდრე მთელ პოლიციას ფეხზე დააყენებდნენ. მაგრამ გაქცევის ორგანიზატორები, როგორც ჩანს, მიხვდნენ, რომ ეს 6 საათი გაქცეულებს იყოფოდათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდებოდა არავითარი შეყოვნება ოპერაციის მსვლელობაში. მაგრამ სწორედ ამ დღეს ციხეში რომ მოეხდინათ მოულოდნელი შემოვლა, რომელიც საშუალად ყოველ 5-6 დღეში ეწყობა? აგრეთვე უკანასკნელ მომენტში მაუ რატომ თქვეს წინანდელ გეგმაზე უარი? იგი ეყრდნობოდა მხოლოდ და მხოლოდ იმ 6 საათის ანგარიშს, რომელიც ერთმანეთისაგან აშორებს ღამის უკანასკნელ და დღის პირველ შემოვლას ციხეში. ეს დრო საკმარისია, რომ ავტომანქანით მიაღწიო ლისაბონს და მოასწრო თვითმფრინავში ჩაჯდომა, ვიდრე მთელ პოლიციას ფეხზე დააყენებდნენ. მაგრამ გაქცევის ორგანიზატორები, როგორც ჩანს, მიხვდნენ, რომ ეს 6 საათი გაქცეულებს იყოფოდათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდებოდა არავითარი შეყოვნება ოპერაციის მსვლელობაში. მაგრამ სწორედ ამ დღეს ციხეში რომ მოეხდინათ მოულოდნელი შემოვლა, რომელიც საშუალად ყოველ 5-6 დღეში ეწყობა? აგრეთვე უკანასკნელ მომენტში ცნობილი გახდა, რომ ციხის ხელისუფლებმა დაცვის გაძლიერების მიზნით შემოვლების შორის შუალედი 6-დან 4 საათამდე შეამცირეს?

ახალი გეგმით გათვალისწინებული იყო, რომ პატიმრები გაიქცეოდნენ წყვილ-წყვილად: ორგანიზატორებს ეშინოდათ, რომ რაღაც მოულოდნელი შეყოვნების გამო ოთხივე დაზარალდებოდა. ამიტომ პირველი ორი კიბეებზე უნდა წასულიყო. იქ ქალაქის მაბლობლად დგას მიგდებული ვოლა, სადაც გაქცეულნი ნახავდნენ დროებით თავშესაფარს, ვიდრე არ შერბილდებოდა კონტროლი საზღვრებზე და აეროპორტებში.

დანარჩენ ორს მანქანით უნდა მიეღწია ესპანეთის საზღვრამდე და მადრიდში ჩასულიყო, იმ ანგარიშით, რომ მოესწროთ იქ 13 თებერვლის დილის 8 საათის სანტიაგოს თვითმფრინავისათვის. საქმე ის არის, რომ პორტუგალიის საიდუმლო პოლიციისათვის საფუძველი ეძლეოდა, ციხიდან გამოსვლა სამინისტროს ინსპექტორთა მოწმობების წყალობით და მანქანებში ჩასხდომა. მაგრამ მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო: 12 თებერვალს, შუადამისას ციხეში „მოაწყეს დამატებითი შემოვლა და განგაში ატყდა არა 4 საათის შემდეგ, როგორც გათვალისწინებული იყო, არამედ ბაქცევიდან სულ რაღაც საათზე ციტა მეტი ხნის შემდეგ. პოლიციამ სწრაფად გადაკეტა ყველა გზა.

ერთ-ერთ საკონტროლო პუნქტთან მანქანამ, რომელიც კომბრუში მიდიოდა, იმის ნაცვლად, რომ შეეჩერებინა სვლა, მოუმატა სიჩქარეს, პოლიციელებმა ეს ვერ აიღეს და სროლა ატეხეს. მანქანიდან ავტომატის ჯერმა ფანასუხათ. დევნისას გაქცეული მიხვდა, რომ გამოსავალი აღარ იყო და დანებდა. ისევე როგორც სხვა პატიმრები, რომლებსაც განზრახული ჰქონდათ გაქცევა, მასაც პატიმრობის 30 წელი წუმატეს. გაქცევის ჩაშლის შემდეგ, იგი, როგორც ჩანს, ციხიდან ცოცხალი ვეღარ გამოვა, თუ რეჟიმი არ დაეამხო. მეორე მანქანის ბედის შესახებ ცნობები არ გვქონდა.

რვის თხუთმეტი წუთია. უკვე დაივწყმუნდინ, რომ ჩვენს ამხანაგს ვეღარ ვნახავდით. მაგრამ უცებ გვიახლოვდება მოღიმარი, გარეგნულად სასენები მშვიდი მამაკაცი.

მე მოვაბერხე მასთან საუბარი მხოლოდ იმ რამდენიმე წუთის განმავლობაში, ვიდრე ბილეთებსა და ბარგის რეგისტრაციი ხდება. „ფოტოსურათის გადაღება არ შინდა“, — თქვა მან და ჩემს ფოტოაპარატზე მიმითითა, — აქამდე ყოველთვის წვეთ-ულვაშს ვატარებდი, ციხეშიც კი. მე არ ვპირებ პორტუგალიის საიდუმლო პოლიციას ჩემი პორტრეტი გაჩუქო, გაქცევის „შემდეგ“. ყალბ პასპორტში რომ ფოტოა? „ეს ჩემი არ არის. უბრალოდ ეს ადამიანიც 34 წლისაა და „ძალიან მგავს. როგორც ხედავთ, ამხანაგებმა ეს ფოტო აირჩიეს“.

ვეკითხები, რა ჰქვია, რომელ პოლიტიკურ დაჯგუფებას ეკუთვნოდა დაპატიმრებამდე, რამდენი წელი ვაატარა ციხეში და რამდენი ჰქონდა დარჩენილი კიდევ. შეიძლო თუ არა ციხეში ყოფნის დროს მიეღო ცნობები ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ, აწამებდნენ თუ არა, ფიქრობს შემდგომში სამშობლოში დაბრუნებაზე?

„მე რამდენიმე სახელი მჭონდა იტალკენეთში,— მიპასუხებს იგი, —რობერტო ბრაგა, ლუის ალმეიდა, ანტონიო ლობესი, მანუელ მაშადო, ბერნარდინო გომესი. ამ სახელების მიხედვით ადვილად მიცნობს ყველა, ვინც პორტუგალიის ანტიფაშისტურ ბრძოლას ადევნებდა თვალყურს. მაგრამ ბოხოეთ ნე დაწერთ სახელს, რომელიც პასპორტშია: ეაპირებ უახლოეს თვეებში ამ სახელით ეასარგებლო. ნამდვილსაც არ გეტყვით“.

„ციხეში თითქოს სამი წელი დაეყავი, განაგრძობს იგი, — კიდევ 31 წელი მრჩებოდა. მე დამპატიმრეს მემარცხენეთა მოძრაობის ერთ-ერთ კრებაზე. კრება ჩემს სახლში ეა ორგანიზებული. მხოლოდ ერთხელ მაწამეს. დაპატიმრების შემდეგ მთელი კვირის მანძილზე არ მაძინებდნენ ძილს. ჩემგან მოითხოვდნენ მოძრაობის იმ წევრების სახელებს, რომლებიც არ იყვნენ კრებაზე. არაფერს ვამბობდი და ვადაწყვეტეს თავი დაენებებინათ ჩემთვის, მით უმეტეს, რომ ერთ-ერთმა პატიმარმა ვერ გაუძლო წამებას და გათქვა ამხანაგები. ბუნებრივია, რომ მას შემდეგ ჩემი ჯგუფის მოქმედების სფერო შემცირდა. შეიძლება თქვენს, რომ ეს ერთადერთი ცნობა იყო გარესამყაროდან, რომელიც ციხეში მივიღე. სწორედ ამიტომ განზრახული მაქვს უახლოეს თვეებში აღვადგინო კავშირი, მიგიღო სეპერო ინფორმაცია. მერე კი ერთი ან ორი წლის შემდეგ, დავბრუნდები პორტუგალიაში და ისევ დავიწყებ იატაკქვეშ მუშაობას. ორშაბათს შუადღისას რომში მოვიდა ცნობა: პორტუგალ გაქცეულმა მშვიდობით მიაღწია დანიშნულ ადგილს.

ჟურნალისტი ბრაზილიაში

ბრაზილია ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის „ვასკანკლავი“ ედუარდო გონსალეს ანდრადეზე უფრო მეტად ტოსტაოს სახელით ცნობილი, რომელიც 1964 წლიდან იცავდა „კრუზეირიოს“ კლუბის ღარსებას, ამ დღეებში მიაყოლეს სხვა კლუბს — „ვასკო და გამას“, თანხა, რომელიც ტოსტაოში გადაიხადეს, — 560 ათასი დოლარი — რეკორდულია ლათინურ ამერიკაში.

რატომ გადაწყვეტეს „კრუზეიროს“ კლუბის ბიზნესმენებმა მოემორჩილებინათ უპირველესი ფიგურანდი? თურმე, ტოსტაოს ბრკალ-ცედ გადაწყვეტა არ განეახლებინა კლუბთან კონტრაქტი, რომელსაც ბომდინარე წლის ივლისში გაუფდის ვადა. უფრო მეტიც, მან გამოთქვა „მკრეხელური“ ფიდეა — საერთოდ თავს დავანებებ ფეხბურთს, თუ „კრუზეიროო“ არ გამიშვებსო. მას პრეტენზიები ჰქონდა გუნდის ხელმძღვანელობასთან. კლუბის პრეზიდენტი ფელისიო ბრანდი არა მარტო უბენია, არამედ ხელმოწერეც არის, ავიწროებს თვით ტოსტაოს, მას თანაგუნდელებს.

და აი, ამისათვის გაუსწორდნენ ანგარიში...

ფრეზერი ბრძოლას გაურბის

მსოფლიოს ახსოლუტურმა ჩემპიონმა პროფესიონალ მოკრივეთა შორის ჯო ფრეზერმა, რომლის მამართაც მრავალი საეკვადური გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ერთხელ იშვიათად გამოდის საასპარეზოდ, გადაწყვიტა „ბეკირგვინის მოპოვების შანსი“ მისცეს ახალგაზრდა მეტოქეებს. ამას წინათ მან განაცხადა, რომ წლეულს ორ-სამ მატჩს მოაწყობს მოკრივეებთან, რომლებიც მოსურვებენ ძალა მოსინჯონ მის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მაგრამ საქმეში ჩახედულნი ადამიანები კვლავ ამტკიცებენ, რომ მოჰამედ ალისთან ძნელი ბრძოლის შემდეგ ფრეზერს ეშინია გამოვიდეს რინგზე სერიოზული მეტოქის წინააღმდეგ. ეი რატომ ამბობს იგი უარს კვლავ შეხვდეს ენს-ჩემპიონს.

თავის მომავალ მეტოქეთა შორის იგი არ ასახელებს მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონს ჯორჯ ფორმენსაც, რომელიც „რანგთა ცხრილში“ მესამე ნომრით ირიცხება. პროფესიონალებში გადახვლის შემდეგ სამწელიწად-ნახევარში ამ ახალგაზრდა ზანგმა სპორტსმენმა 35 გამარჯვება მოიპოვა, აქედან 22 ნოკაუტით, და არც ერთხელ არ დამარცხებულა.

„მპარათონი“ ნილოსზე

ტრადიციულ საფეხბურთო მარათონულ გაკეთებას ნილოსზე მონაწილეობდა რვა ქვეყნის 28 პროფესიონალი (რომლებიც ამჟამად შეჯიბრებებში ფუტბალი პრიზის მოსაპოვებლად გამოიდიან) და მოეყვარეთ მოცურავე. 34,5 კილომეტრი დისტანციი პირველმა დაამთავრა ეგვიპტელმა მოცურავემ მოცურავეთ მაგდი მანდურამ, რომლის შედეგია 8 საათი, 14 წუთი და 7 წამი.

მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს ამერიკელ ბრონფენბრენერმა — ეგვიპტელმა ისმაილ რამადანმ და ბრიტელმა მარეზ სალვამმ.

„ოპერაციის“ ნიმუშები

ტოკიო. დღეს ბიროსიმის პრეფექტურის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში აღინიშნა იაპონური შვიდბალიანი სკალის მიხედვით ოთხი ბალი სიმძლავრის მიწისძვრა.

მიწისძვრის შედეგად შეზერდა მოძრაობა რკინიგზის ადგილობრივ ხაზებზე.

თეირანი. ხაში ახალი მიწისქვეშა ბიძგები — ერთი დიდი ძალისა — აღინიშნა დღეს ირანის სამხრეთ პროვინციაში — ფარსში.

ეს პროვინცია უკვე სერიოზულად დაზარალდა 11 აპრილს მიწისძვრის შედეგად.

ძარცაცანი — „იაკ-40“-საუკეთესოა

ვენესუელის დედაქალაქის აეროპორტში დაეშვა საბჭოთა „იაკ-40“ რეაქტიული თვითმფრინავი, რომელიც საჩვენებელ ფრენას ახდენს ლათინური ამერიკის ქვეყნებში.

ადგილობრივი პრესა ხაზს უსვამს საბჭოთა თვითმფრინავის მაღალ საფრენოსნო თვისებებს. გაზეთი „ტრიბუნა პოპულარი“, „იაკ-40“-ს უწოდებს საუკეთესო რეაქტიულ თვითმფრინავს მოკლე მანძილზე ფრენისათვის.

აქ გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც გამოვიდა ვენესუელის კომუნიკაციათა მინისტრი ენრიკე ბუსტამანტე. მან განაცხადა, რომ მთავრობა სწავლობს ქვეყნის საფოსტო ავიახაზებისათვის ამ ტიპის თვითმფრინავების შეძენის შესაძლებლობას.

ლონდონი — აღვირახსნილი თარეში

ბელფასტის მცხოვრებნი გუშინ საღამოს მოწმენი გახდნენ გლოჩესტერის პოლკის პირველი ბატალიონის ჯარისკაცთა აღვირახსნილი თარეშისა, რომელებმაც „ზეიმით აღნიშნეს“ ოლსტერში თავიანთი სამსახურის დამთავრების ვადა.

შეზარხოშებული ბრიტან

სად ფაიჩვან საფაურსა...

საქვეყნოდ ცნობილია, თუ რა დიდი გმირობა და მამაცობა გამოიჩინეს საბჭოთა მოქალაქეებმა იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობაში. ვინ არ იცნობს თვალდორბ კოლეტავეს, ფორე მოსულიშვილის სახელებს. და აი, მათს რიცხვს მიემატა კიდევ ერთი გმირი, ჩვენი თანამემამულე გიორგი დიმიტრის-ძე ვარაზაშვილი.

ამ დღეებში საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროში მოსკოვიდან მოვიდა ცნობა, რომ იტალიის მთავრობამ გიორგი დიმიტრის-ძე ვარაზაშვილი განსაკუთრებული გმირობის გამოჩენისათვის, სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვა ბრინჯაოს მედლით „მხედრული მამაცობისათვის“.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ლარისა ხუბულურის ნარკვევს გიორგი ვარაზაშვილის საბრძოლო ცხოვრებაზე, რომელიც ძირითადად იტალიიდან მიღებულ დოკუმენტურ მასალებზეა აგებული.

□ □

მაკაბეი, დეიდა სონა, იარა გამიხსენი, გული ჩაგწყვიტე, შემომშივლე, ამ ოცდაათი წლის მანძილზე იმდენი ლუკმა არ გადამყლაპავს, რამდენიც ცრემლი შემიგამიაო და მე კი უკანასკნელი იმედიც დაგიკარგე.

თქვენ ხომ ისევ ცოცხლებში იხსენებთ შვილივით გაზრდილ ძმას, გიორგის, მუცლით არ მატარებია, თქვი, თორემ დედაზე ნაკლები ამაგი როდი მაქვს გაწეული. ჩემი შობლიური სოფლიან. ჯიმითიდან ექვსი წლის ბიჭი ჩამოგიყვანე თბილისში. აქ ვასწავლე, დავამთავრებინე სამუალო სკოლა, შემდეგ თბილისის სამხატვრო აკადემია, სულ ხუთებზე სწავლობდა. მაღალი, შავთვალწარბა, ხუქუჭამთინი, ეს თვალს არ ენახვებოდა, მაგრამ რა... აკაბკალებული, გამხდარი ხელებით უჯრედან ბეიჩის დიპლომი ამოიღე და გამომიწოდე. „გიორგი დიმიტრის-ძე ვარაზაშვილი, — ეწერა დიპლომში, — 1934 წელს შევიდა და 1940 წელს დაამრულა თბილისის სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტი, მიიღო დიპლომი მხატვარი მოქანდაკის კვალიფიკაციით“.

მისი ნაბატები თუ რამე შემოგრჩა? — შეეკითხე, — როგორ არა, შვილო, გიორგის სადიპლომო ნაშრომის — სპორტსმენის სამმეტრიანი ფიგურის სურათი მაქვს. ისე ჩანახატებიც გვაქვს, ჩემს შოთასა აქეს შენახული. ამ ექვსი წლის წინათ „კომუნისტში“ ნიკო ქუმსიაშვილის სახლ-მუზეუმზე წერილი გამოქვეყნდა და იქ მოსსენიებული იყო, მოუკვდეს იმას და, ომში დაღუპული მხატვრის გიორგი ვარაზაშვილის მიერ შესრულებული ნიკო ქუმსიაშვილის სახე აბესალომის როლში.

იმ წერილის ავტორი, დეიდა სონა, მე ვიყავი. პირველად თურმე მე გაცნობეთ თქვენი ძმის დაღუპვის ამბავი. მაშინვე როდამთან, ნიკოს ქალიშვილთან, ასულსართან. ის ხომ გიორგის ახლო ამხანაგი იყო და გიკითხავთ, საიდან გაიგე გიორგის სიკვდილიო...

უკანასკნელი მისი წერილი 1941 წლის აგვისტოში მოვიდა, ჩემს ბიჭებს, ვალიკოსა და შოთასა სწერდა. ვალიკო მაშინ ჯერ კიდევ სკოლაში სწავლობდა. 1943 წელს, როგორც კი დაამთავრა სასწავლებელი, ინსტიტუტში სატყეოზე შეიტანა საბუთები და ომშიც გაიწვიეს, წავიდა და წავიდა, აღარც დაბრუნებულა, მოუკვდეს იმას დედა... შავი თავმაღლის ბოლოთი ცრემლი მოიწმინდე, ბოლმა ყელში გეგჯინებოდა, გატყობდი, გიჭირდა საყვარელ ადამიანებზე საუბარი, მაგრამ მასპინძელი იყავი და ფალი გაიმაგრე... ჰოდა, ბიჭებსა სწერდა, კარგად ისწავლეთ, დედ-მამას გაუფრთხილდეთო, მე კი აქაურ ამბებს შევიწერეო, ახლა, როცა ამ წერილს გწერთ, ირგვლივ სანილეი ამბები ტრიალებს, გერმანელებს ავიაცია გვბომბავსო... აი, შვილო, შენ თავად წაიკითხე, მითხარი და გაყვითლებული სამკუთხა ბარათი გამომიწოდე, „ZIMMYWEHR ШОЛЕНБАУН ОЛСДЖ, — იწერებოდა გიორგი, — УНДА ВЗЗАНАВЗЗЕРГОТ ДЕ ДАЧЕ ЭАЗЕНЕВДЕ, ЬЕС ЧЕЛЕЧ“ — ეს იყო მისი უკანასკნელი წერილი. მას შემდეგ გიორგისაგან აღარაფერი მოსულა.

ვფუროცლავ საოჯახო ალბომს, აქ სულ გოგის სურათებია, თანაკურსელებთან, სკოლის ამხანაგებთან გადაღებული. როგორი ბედნიერი სახით შემოგყურებთ, თმახუჭუჭა, შაგვგრემანი ჭაბუკი, ბეგერით ქალაქშეილი ულგას, თიმქმის ყველა სურათში ეს ყველი ერთად არის გადაღებული. დეიდა სონა, მამიხედი, რომ მათ ვაკვირდებოდი და მითხარი — ეგ გოგო გიორგის საცოლე იყო, როგორ უყვარდათ ერთმანეთი. დაიკარგა ბიჭი, აღარ ვამოწმდა, და ეგეც რაღას იზამდა, გათხოვდა. ჩემმა ვალიკომ განა არ დამიტოვა ორი თვის შერთული ქალი. ორ წელს იყო ჩემთან ის დალოცვილი, მივლიდა, მამხეევებდა, მაგრამ რუცა ვალიკოსაგან აღარაფერი მოვიდა, წავიდა, გულის სწორი მოხსნა.

1944 წელს აგვისტოში ბრიანსკის ოლქის გორდეევის რაიონის სოფელ სტრუგოვა-ბუდადან ვინმე ოლღა კონოვალოვას წერილი მიიღეთ. უცნობი ქალი გიორგის ამბავს გატყობინებდათ — „გოგი 1942 წლის დასასრულს და 1943 წლის დასაწყისში ჩვენს სოფელში იმყოფებოდა, — ვკითხულობთ წერილში, — როგორც მან მაგალითა, სმოლენსკთან ჩაკარდნილა ტყვედ. შემდეგ მოახერხა ტყვეობიდან გაქცევა და თავი შეაფარა სოფელ სტრუგოვა-ბუდას, სადაც ჩვენს სახლში იმალებოდა. მაშინ ჩვენ დავუახლოვდით ერთმანეთს, გოგი ისეთ პატივს მცემდა, როგორც თავის დას. 1943 წელს გერმანელებმა გიორგი კულაგ დააპატიმრეს და წაიყვანეს საკონცენტრაციო ბანაკში, რომელიც ჩვენი სოფლიდან 40 კილომეტრზე იმყოფებოდა. იქ რამდენჯერმე ჩავედი სანახავად, ხილი ჩავუტანე, მაგრამ იქიდანაც მოუხერხებია გაქცევა და, როგორც შევიტყეთ, პარტიზანებს დაკავშირება. იმათთან ერთად იბრძვის, მას შემდეგ გიორგის შესახებ არაფერი ვიცი. ის ისეთი გამბედავი, მამაცი და სიცოცხლით სავსეა, აუცილებლად ცოცხალია და გაბარჯვებული დაგიბრუნდებათო, — იწერებოდა ოლღა წერილში იყო გიორგის ფოტო სურათი, რომელიც მას



გმირები არ კვდებიან

გიორგი ვარაზაშვილი — იტალიის განთავისუფლების გმირი

დაპატიმრების წინ გადაუცია ოლიასათვის.

ეს იყო და ეს. უცნობმა ქალმა გაგახარა, დაკარგული ძმის ამბავი მეგატყობინა. მაშინ შენი ვალიკოც ფრონტზე იბრძოდა, მას უკვე მიღებული ჰქონდა საბრძოლო მადლობები, იცოდი ბრძანებულება მისი „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ. იმედითა და შიშით ცხოვრობდი.

ომი დამთავრდა, მაგრამ შინ აღარც ძმა და აღარც ვაჟი აღარ დაგბრუნდნენ. შვილის დაღუპვის ცნობა დაგიმაღეს, ბერმანიანი, ფრანკ-ფურტის მახლობლად გმირულად დაცემულა 1945 წლის 4 თებერვალს და იქვე საძმო საფლავზე განისვენებს ვალიკო ლუკას-ძე ბაზერაშვილი.

გადიოდა წლები. ერთადერთ ვაჟს შოთასღა შესცქეროდი. შენს სახლში ვალიკოსა და გიორგის სადღეგრძელო, როგორც ცოცხლებისა ისე წარმოითქმოდა ხოლმე და ახლაც ასეა. მათი შესანდობარის თქმაზე ენა არ გიბრუნდება...

და აი, 1970 წელს სონას მეორე ძმამ, ალექსანდრე ვარაზაშვილმა ჯიმათში (ვურჯანის რაიონი) წერილი მიიღო იტალიიდან. ვინმე რენალდო დალ მასი ქალაქ ბელუნოდან იწერებოდა, ითხოვდა წერილის წამკითხველს მოეფინა მისი მეგობრის გიორგი ვარაზაშვილის ახლო ნათესავები, გიორგისა, რომელიც გმირულად დაიღუპა იტალიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ამ ცნობამ ყველა აალელვა. აბა ძია ალექსანდრეს საიდან შეეძლო იტალიელისათვის პასუხის გაცემა და ეს ამბავი ისევ გიორგის დისშვილმა შოთა ბაზერაშვილმა იკისრა.

რენალდო დალ მასმა ახლა ნითელი ჯვრის იტალიის საზოგადოების მეშვეობით წერილი გამოუგზავნა სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და ნითელი ნახევარმთვარის საზოგადოების აღმასრულებელ კომიტეტს და სთხოვა დახმარებოდნენ მიეგნოთ გიორგი ვარაზაშვილის ახლო ნათესავებისათვის, რომლებსაც შეეძლოთ მისთვის მიეწოდებინათ გიორგის ბიოგრაფიული ცნობები. როგორც რენალდო დალ მასი იწერებოდა, გიორგი ვარაზაშვილი განსაკუთრებული გმირობისათვის სიკვდილის შემდეგ წარდგენილი იყო ფილა იტალიის ერთ-ერთ სამეფო ჯილდოზე და საჭირო საბუთების უქონლობის გამო იტალიის სამხედრო



ლაზე. შემდეგ მისი ნეშტი ერთმა მისმა თანამებრძოლმა რუსმა და მე გადავასვენეთ ტოლიეტაში, ჩიზონ დი ვალმარინაში, ტრევეზოს პროვინციაში. საფლავზე დადგეულია ქვის ფილა, რომელსაც აწერია: „გამეფელო, შეჩერდი. ამ ადგილას განისვენებს პატრიოტი, რომელმაც სისხლი დაღვარა შენი განთავისუფლებისათვის, მან შენ თავისუფალი იტალია გაგიუკა. კაპიტანი „მონტი“ გიორგი ვარაზაშვილი“.

საბჭოთა კავშირის წითელი ჯვრის საზოგადოებამ დაამაყოფილა იტალიელი კოლეგების თხოვნა, მოძებნა ბ. ვარაზაშვილის თანამებრძოლი ბორის ლეონიდეს-ძე ზერნოვი და მისი მოგონების ერთი ასლი თბილისში გამოუგზავნა შ. ბაზერაშვილს.

აი რას იწერებოდა ზერნოვი: „პარტიზანული ბრიგადა „პიაკეი“ მოქმედებდა ქ. კონელიანოსა და ვიტორიო-ვენეტოს მიმართულებით, ტრევიზოს პროვინციაში. ამ ბრიგადაში იყო 5 საბჭოთა მოქალაქე. აქედან 4 რუსი და ერთი ქართველი. მას ვეძახდით „ჯორჯს“. მისი პარტიზანული სახელი იყო „მონტი“, ის დაიღუპა იტალიელ პარტიზან „კაპიტანთან“ ერთად.

ომამაკი ასე მოხდა. ერთ-ერთი ძმამ ბრძოლის შემდეგ ჩვენი რაზმი მთებში აფარებდა თავს. დაზვერვაზე წავიდნენ „მონტი“ და „კაპიტანი“, ქვემოთ ამ დროს სიწყნარე იყო, თოქმის ფაშისტები აღარ ჩანდნენ, მაგრამ მოხდა ისე, რომ ისინი ალიყაში მოიმწყვდიეს ბავშვათა-ნებმა (იტალიელმა ფაშისტებმა): „მონტიმ“ და „კაპიტანმ“ მოახერხეს ალყიდან გამოსვლა და გავმარჯვნენ ვიტორიო-ვენეტოს მიმართულებით. ფაშისტებმა მათ ხუთ-შვიდ კილომეტრზე სდევნეს. ბავშვ შეტაკება. რიცხვობრივად ბევრად ძლიერი მტერი ცდილობდა პარტიზანების ალიყიდან ჩაგდებას, მაგრამ ისინი მხოლოდ მკვდრები ნახეს. მათი გვამები. ფაშისტებმა ვიტორიო-ვენეტოს სასაფლაოზე ბიბინანეს და მოვდელს უბრძანეს მიწაში ჩაეფლო. იმ მოვდელს პარტიზანებთან კავშირი ჰქონდა და მოახერხა მკვდრების ფოტოსურათი გადაეღო და შემდეგ დაემარხა. ეს მოხდა 1945 წ. 6 თებერვალს. შეგვატყობინეს, სადაც იყო დასაფლავებული „მონტი“. 1945 წლის მაისში ბრიგადის ყველა დაღუპული პარტიზანი მშობლებმა დასაფლავეს იქ, სადაც მათ სურდათ. ჩვენც „მონტი“ — ჯორჯი (გ. ვარაზაშვილი) დავასაფლავეთ სოფელ ჩიზინოდან ერთნახევარ-ორ კილომეტრზე მდებარე სასაფლაოზე ქ. ტრევიზოს მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ 1945 წ. მაისში მდგდლის მიერ გადაღებული ფოტოსურათი დაღუპული პარტიზანების — „მონტის“ და „კაპიტანის“ გამოქვეყნდა იტალიურ ჟურნალში. ეს ჟურნალი იტალიელებმა მაჩვენეს ქ. კინელიანოში. სამწუხაროდ, ამ ჟურნალის სახელწოდება აღარ მახსოვს. საეთდავი სანახავები იყვნენ, ფაშისტებს მკვდრებზედაც უყრიათ ჯავრი, მთლად დაეცხრილათ მათი სხეული და შემდეგ ეირეკეთ.

როგორც ვიცი, — წერს ზერნოვი, — ჯორჯი იტალიაში მოხვდა ოვეგოსლავიიდან კუბანშეკელ პეტრე შერეკოვთან ერთად. მათთან ერთად რაზმში იბრძოდა სარკოკელი ივანე ბახნეტიეი...

რენალდო დალ მასმა რამდენიმე წერილი და ფოტოსურათი გამოგზავნა საქართველოში. შ. ბაზერაშვილმა მისგან მიიღო ბრიგადა „პიაკეს“ შემადგენლობის საერთო ფოტოსურათი. სადაც დაღუპულ პარტიზანებს მორის მოთავსებულია გ. ვარაზაშვილის ფოტო, აგრეთვე მისი ორი სხვა ფოტოსურათი — გადაღებული იტალიელ პარტიზანებთან ერთად, ბეთრგის საფლავის მემორიალური დაფის სურათი, აგრეთვე ის ფოტოსურათი, რომელიც მოდელმის გადაეღო მიცვალებულს, მტრისაგან ნატანჯ და გასაცოდავებულ. გიორგის.

ერთ-ერთ წერილში რენალდო დალ მასი იწერება თავის ბიოგრაფიულ ცნობებსაც. ის დაიბადა 1923 წელს ჩრდილოეთ იტალიაში, ბელუნოს ოლქში, ტრიხინოში. მისი მამა დალ მას ვალენტინი მეჩიდლად მუშაობდა. ის სოციალისტი ყოფილა, რისთვისაც ფაშისტები ხდეზნიდნენ (ამეამად იგი გარდაცვლილია). რენალდოს ძმა დაიღუპა იუგოსლავიაში, მონტენეგროში 1944 წ. 5 მაისს. ის იტალიის დივიზიაში იბრძოდა გერმანელი ნაცისტების წინააღმდეგ და სიკვდილის შემდეგ გმირული ბრძოლისათვის ჯილდოდ მიენიჭა ვერცხლის medali. „ჩვენ დიდხანს არაფერი ვიცოდით ძმის შესახებ, — იწერება რენალდო, — მაგრამ კეთილი ადამიანები დაგვეხმარნენ და მოვძებნეთ მისი საფლავი.

ამეამად რენალდო მუშაობს საყოფაცხოვრებო ელექტროფილსაწყოების ფირმაში ბუღალტრად.

ამავე წერილში რენალდო იწერება, რომ იტალიაში ცხოვრობს გიორგის ვაჟი — ჯორჯი (გიორგი) ძამბონი, სახელი მას დარქმეული აქვს თავისი მამის პატივსაცემად, ატარებს დედის გვარს, რადგან ვარაზაშვილთან მისი დედა კათოლიკური წესით არ იყო შეუღლებული. ჯორჯი ძამბონი რენალდოსაგან ძალიან ზრუნად ყოფილა, მაგრამ მასთან ერთად ბავშვ ბავშვ, დაინტერესებული შეგიგროვოს მამის ბიოგრაფიული და საბრძოლო ცხოვრების ამსახველი ცნობები, ლიტერატურა, რომ ეს მასალები ჩაანახოს რომში სამხედრო სამინისტროს, სადაც გიორგის დაჯილდოება შეეტრეზოდეს საჭირო დოკუმენტების უქონლობის გამო. ჯორჯი ძამბონის გადაუცია კიდევაც რენალდოსათვის თავისი მამის ფოტოსურათი, გადაღებული თბილი ჯუბითა და ქუდით. ეს სურათი რენალდომ თბილისში გამოგზავნა.

მალე თვით გიორგი ძამბონის წერილიც მოვიდა. „მე ვარ საბჭოთა ოფიცრის „მონტის“ შვილი, — იწერებოდა ივი, — რომელიც ბრძოლად დაიღუპა 1945 წ. 6 თებერვალს. ეს ყველაფერი ვიცოდი დედისაგან. დიდხანს ვეძებდი იტალიაში მამის თანამებრძოლებს, რომ შემეგროვებინა მასალები მამის შესახებ, ამასთან გამეგო თქვენი მისამართი, და აი ბედნიერად ვფიცი თავს, რომ მაქვს საშუალება შორიდან მაინც მოგესალმოთ, ჩემო ახლობლებო, მე დიდად მადლობელი ვარ რენალდო დალ მასისა, რომელმაც მოგძებნათ და გადმომცა თქვენი მისამართი. რაც შეეხება ჩემს ამბავს, უკვე მოვიხადე სამხედრო ვალდებულება, ახლა ვმუშაობ მშენებლობაზე, ვცხოვრობ დედასთან და მამინაცვალთან, მყავს და და ძმა. ულრმესად გთხოვთ გამომიგზავნოთ მამის ბიოგრაფიული ცნობები. იმ რუსი ქალის წერილის ასლი, რომელიც გატყობინებდათ, რომ მამაჩემი გერმანელებისაგან ორჯერ გაიქცა ტყვეობიდან და პარტიზანებთან იბრძოდა, გამომიგზავნეთ; დამოწმებული მისი ფოტოსურათი, რომელიც აკადემიის დამთავრების შემდეგ გადაუღია, აგრეთვე მისი ნახატების ფოტორეპროდუქციები. მინდა მამა დავასაფლავო ისე, როგორც ეს მას შეფერებოდა და გთხოვთ მირჩიოთ რითი შევამკო მისი საფლავი“. გიორგიმ ზორეულ ბიძას გამოუგზავნა თავისი ფოტოსურათი და მამის საფლავზე გადაღებული დედის სურათი.

ასლახან რენალდომ მოთა ბაზერაშვილს გამოუგზავნა გიორგი ვარაზაშვილის დაჯილდოებაში წარდგენის ბრძანებულების ფოტოპირი.

„დაჯილდოებაზე წარდგენა სამხედრო მამაცობისათვის. ჩვენ მოვითხოვთ, რომ საბჭოთა კაპიტანმა გიორგი ვარაზაშვილი დაჯილდოებულ იქნას სამხედრო მამაცობისათვის შემდეგი მოტივის საფუძველზე.

წითელი არმიის ოფიცერი, რომელიც გერმანელებმა ტყვედ ჩაიგდეს ხსნა ტყვეებთან ერთად. ჩამოიყვანეს იტალიაში. სამხედრო საქმის დიდმეოსტატმა გიორგიმ, როგორც კი გამონახა შესაძლებლობა, თავის პატარა ნაწილთან ერთად ტყვეზე ქიქა და შეეერთდა იტალიელ პარტიზანებს.

ის გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი მამაცობითა და ბრძოლისუნარიანობით. გაიჩნდა დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა.

გიორგი ბრძოლის ველზე დაეცა იტალიელ პარტიზანთან ერთად, ფაშისტთა უეცარი თავდასხმის დროს. ის სხვა იტალიელ პარტიზანებთან ერთად სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდა, სანამდე ტყვეა-წამალი არ გამოელია. როდესაც ვამუუგალეთ დაოპპეის განსაცდელში ჩავარდა, არ დანებდა მტერს. თავისკენ მიიმყარა ირიგული იარაღი და მსროლად ასეთნაირად შეწყიტა წინააღმდეგობა.

გიორგიმ მისი სამშობლოდან მოშორებით დადგარა სისხლი, ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებისათვის დაე მისი მამაკაცობა იყოს მთელი მსოფლიოს ხალხების ძმობის სიმბოლო.

ვიტორიო-ვენეტო.

ბრძანებულება შედგენილია 1945 წ. 29 მაისს. ხელს აწერს ბრიგადის მეთაური“...

ამას წინათ, როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იცით, საქართველოში ჩამოვიდა იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეთა დელეგაცია იტალიის პარლამენტის დეპუტატის ერალდო გასტონეს მეთაურობით. შეხვედი გასტონეს და გადავეცი გ. ვარაზაშვილის სამხედრო ჯილდოზე წარდგენის ფოტოასლი, გადავეცი რენალდო დალ მასის მისამართი, რომ ერთად ამოვმეფდნენ და დაავიერგვინონ გ. ვარაზაშვილისათვის ამ ოცდაექვსი წლის წინათ ჯილდოზე წარდგენა.

შეეხვდი დელეგაციის წევრს, მწერალ მარო ბალენს, რომლის წიგნი „საბჭოთა პარტიზანები იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობაში“ თარგმნილია რუსულ ენაზე. წიგნში გაცოცხლებულია ამ საბჭოთა მოქალაქეების გმირული ბრძოლები, რომლებიც გერმანელმა ფაშისტებმა ტყვედ ჩაიგდეს, მრავალი საკონცენტრაციო ბანაკი გამოატარეს, მოაშორეს სამშობლოს და შორეულ იტალიაში გადაზვეშეს. მაგრამ საბჭოთა პატრიოტებმა როგორც კი შეიტყეს, რომ იტალიაში ამ დროს ვაფალა პარტიზანული მოძრაობა, შეუერთდნენ პარტიზანებს და მათთან ერთად იბრძოდნენ. წიგნში აღწერილია, როგორ ვასაოცარ ბერობას იჩენდნენ საბჭოთა მოქალაქეები ბრძოლაში. მწერალმა დიდი შრომა გაწია, რომ შეეგროვებინა იმ საბჭოთა პატრიოტების გვარები და ბიოგრაფიული ცნობები, რომელმაც თავი დასდეს იტალიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. სულ მისი ცნობით იტალიაში იბრძოდა 4.981 საბჭოთა მოქალაქე, მათ შორის ბევრი იყო ქართველი.

ერთ-ერთი მათგანია გიორგი ვარაზაშვილი. ეი რას სწერს გალენი ვარაზაშვილის დაღუპვაზე:

„კაპიტანი „მონტი“, რომელიც ბრიგადა „პიაკეს“ შემადგენლობაში იბრძოდა, დაიღუპა 1945 წ. 6 თებერვალს. დაიღუპა მამაცური სიკვდილით კოტოლოლში. მან ტყვედ ჩავარდასა ამჯობინა თავის გულზე ყუმბარა აეფეთქებინა“.

ქართველმა ვაჟკაცმა თავის მოკვლა ამჯობინა ტყვედ ჩავარდნას. ის ხომ სამჯერ გაიქცა ფაშისტებს. განა ასე არ დაიღუპა იტალიის ქართველი გმირი ფორე მოსულიშვილი?

იტალიელები არ იგიწყებენ მათი სამშობლოს თავისუფლებისათვის დაღუბულ გმირებს, მათ სახელებს დიდებით მოსავენ და შთამომავლობას გადასცემენ. ამის მაგალითია იტალიელ რენალდო დალ მასის მიერ მისი ქართველი თანამებრძოლის ნათესავების მონახვა და ზრუნვა დაღუბული მეგობრის საქმის უკვდავსაყოფად.

ძვირფასო მკითხველო, დიდი სამეოლო ომის ჯარისკაცებო, აბა კარგად დაეკვირდით გიორგი ვარაზაშვილის ფოტოსურათს, იქნებ თქვენს ვეერდით იბრძოდა იგი, ან თქვენთან ერთად იტანჯებოდა ტყვეობაში, მოგვწერეთ, რა იცით მასზე. იქნებ აღვადგინოთ ქართველი გმირის საბრძოლო ცხოვრების ჯერ კიდევ ბურუსით მოცული პერიოდები. ამას ითხოვენ ჩვენგან გიორგის იტალიელი მეგობრები, ამას გვთხოვს მისი ვაჟი გიორგი.

ლარისა ხუბულური.

სურათებზე: ზემოთ — გიორგი დიმიტრის-ძე ვარაზაშვილი; შუაში — წარწერა საფლავის ქვაზე; ქვემოთ მარჯვნივ — პარტიზანული ბრიგადა „პიაკეს“ ერთი ჯგუფი. ისრით მინიშნებულია გ. ვარაზაშვილი; (მარცხნივ) გიორგის ვაჟი გიორგი ძამბონი, რომელიც ამჟამად იტალიაში ცხოვრობს.

საგასტროლო სპექტაკლების გაცხადება

ჩვენს დედაქალაქში დამთავრდა ცხინვალის კოსტა-ხეთაგაროვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ოსური და ქართული დასის გასტროლები, რომლებმაც წარმატებით ჩაიარა ქართველი და ოსი ხალხების მეგობრობის მატიანეში კიდევ ერთი ნათელი ფურცელი ჩაიწერა. ჩვენმა სტუმრებმა თბილისის თეატრის მოყვარულებს გაიცნეს თავიანთი შემოქმედება. მაყურებლის სამსჯავროზე გამოიტანეს რვა სპექტაკლი. მათ შორის ნ. სალამოვის „სარმათი და მისი შვილები“, ა. ჩხეიძის „ხიდი“, გ. ხუციევის „ბედნიერება“, სალა ხარ?“, ე. ბრიტოვის „ამირანი“, ვ. გაგლოევის „თქმულება დედაზე“, გ. ნახეცირიშვილის „ოირსმანი“, გ. მრეველიშვილის „ბერმუხის ჩრდილში“, ბ. ურუმაგოვის „სანიათი“.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ და საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ მსახიობთა სახლის საკტო დარბაზში მოაწყეს საგასტროლო სპექტაკლების განხილვა. სხდომა გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ. სიტყვა კავშირის სახელობა არტისტმა ი. ანთაძემ. ეროვნული ფოლკლორის მოკვარმა რეჟისორმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა გ. ლორთქიფანიძემ ილაპარაკა სტუმრების საინტერესო და თავისთავად ხელოვნებაზე. შეაფასა ოსური დასის [illegible] [illegible] [illegible]